ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
National Academy of Sciences of Georgia

თსუ მუზეუმი
TSU Museum

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან
150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

International Scientific Conference

Dedicated to the 150th Anniversary of
the Birth of Ivane Javakhishvili

თეზისები/Tesiss

აპრილი 23-24 April
თბილისი 2026 Tbilisi

ავტორთა სტილი დაცულია
Authors' style preserved

ISBN 978-9941-36-503-4

© ივანე ჯავახიშვილის სახელობს თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2026
© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2026

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ.1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house

დალი კანდელაკი
Dali Kandelaki

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities
(საქართველო, Georgia)

საქართველო გერმანულ პრესაში: Hamburger Relations-Courier (1722)[1]
Georgia in the German Press: Hamburger Relations-Courier (1722)

საკვანძო სიტყვები: *Hamburger Relations-Courier, საქართველო, კავკასია, გერმანული პოლიტიკური პრესა, XVIII საუკუნე*

Keywords: *Hamburger Relations-Courier, Georgia, Caucasus, German political press, eighteenth-century*

„Hamburger Relations-Courier“ 1673 წლიდან გამოდიოდა და XVIII საუკუნეში ჩრდილოეთ გერმანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოცემას წარმოადგენდა. გაზეთი მკითხველს სთავაზობდა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების ოპერატიულ მიმოხილვას. მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა დიპლომატიური ცნობები, სამხედრო ანგარიშები და კომერციული ინფორმაცია. გამოცემა არ იყო ანალიტიკური ხასიათის; იგი მუშაობდა კორესპონდენციებზე დაყრდნობით და მკაფიოდ მიუთითებდა ინფორმაციის გამოგზავნის ადგილს – ვენეციას, კონსტანტინოპოლს და სხვ. ცნობები ხშირად იწყებოდა ფორმულირებებით – „იუწყებიან“, „ცნობილია“, „კვლავ იტყობინებიან“, რაც ცნობების გადმოცემით და არაპირდაპირ ხასიათზე მიუთითებდა. სტილი იყო ოპერატიული და მკვეთრად პოლიტიკურად ორიენტირებული: მოვლენები იშვიათად განიხილებოდა ისტორიულ რეტროსპექტივაში; ყურადღება კონცენტრირებული იყო მიმდინარე პროცესებზე, დიპლომატიურ ვითარებასა და ძალთა გადაადგილებაზე. ამ თავისებურების გამო ერთსა და იმავე ნომერში თანაარსებობდა ვენეციური დიპლომატიური კორესპონდენცია, კონსტანტინოპოლიდან მიღებული ოფიციალური ცნობები და რედაქციულად შეჯამებული ინფორმაცია. უახლესი პოლიტიკური ამბების გვერდით ქვეყნდებოდა მოკლე განცხადებები და კომერციული ცნობები, რაც გაზეთს ანიჭებდა როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური კომუნიკაციის ფუნქციას.

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი: GSDP-25-294] / This work was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number GSDP-25-294].

საქართველო გაზეთში წარმოდგენილი იყო არა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტი, არამედ როგორც იმპერიულ ძალთა დაპირისპირების არეალი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთებოდა 1722 წლის 3, 4, 8 და 10 დეკემბრის ნომრებში.

3 დეკემბრის ნომერში ვენეციიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია საქართველოს თემას დიპლომატიური ზეწოლის კონტექსტში ასახავდა: რუსეთის მოქმედებები უკვე არა მხოლოდ სამხედრო ფაქტად, არამედ პოლიტიკურ პრობლემად იყო წარმოჩენილი, რომელიც ოსმალეთის მხრიდან რეაგირებას მოითხოვდა. 4 დეკემბრის ნომერში კონსტანტინოპოლიდან მიღებული ცნობები ამავე მოვლენებს უფრო ოფიციალურ ჩარჩოში ათავსებდა; აღწერილი იყო თბილისის აღება, ციხესიმაგრეების აგება და კავკასიის მზარდი სტრატეგიული მნიშვნელობა. 8 დეკემბრის ნომერში ტონი მკაცრდებოდა და საქართველო სუვერენიტეტის საკითხთან იყო დაკავშირებული; ცნობა ხაზს უსვამდა ოსმალეთის იურიდიულ პრეტენზიებს და რუსეთის ქმედებებს. 10 დეკემბრის ნომერში სხვადასხვა ცნობა ერთ პოლიტიკურ შეჯამებად ერთიანდებოდა და საქართველო უკვე ომისა და მშვიდობის საკითხის განმსაზღვრელ სივრცედ იკითხებოდა.

ეს ოთხი ნომერი ნათლად აჩვენებდა, თუ როგორ ყალიბდებოდა გერმანულ პრესაში საქართველოს სახე ურთიერთდაკავშირებული, თუმცა ფრაგმენტული ცნობების საფუძველზე. საქართველოს პოლიტიკური მნიშვნელობა განისაზღვრებოდა ინფორმაციის წყაროსა და კონკრეტული კორესპონდენციის ხასიათის მიხედვით.

"Hamburger Relations-Courier", published from 1673 onwards, emerged as one of the most significant newspapers in Northern Germany during the eighteenth century. It provided its readership with regular reports on current events in Europe and the Near East. Its pages contained diplomatic information, military reports, and commercial news. The publication was not analytical in character; rather, it relied on correspondence and consistently indicated the place of origin of its reports—Venice, Constantinople, and other cities. Reports often opened with phrases such as "it is reported," "it is known," or "they report again," underscoring the mediated and indirect nature of the information. The style was concise and politically oriented. Events were seldom placed within a broader historical perspective; instead, attention focused on ongoing developments, diplomatic relations, and shifts in the balance of power. A single issue could therefore combine diplomatic correspondence from Venice, official reports from Constantinople, and editorial summaries. Alongside political news, the newspaper also included brief announcements and commercial notices, thereby fulfilling functions of both political and social communication.

Georgia was represented in the newspaper not as an independent political actor, but rather as a theatre of confrontation between imperial powers. This was particularly evident in the 3, 4, 8, and 10 December 1722 issues.

In the issue of 3 December, drawing on correspondence from Venice, the question of Georgia was presented within the context of diplomatic pressure, with Russian actions framed not only as military operations but also as a political issue demanding a response from the Ottoman Empire. In the issue of 4 December, reports received from Constantinople placed these same events within a more official framework; the capture of Tbilisi, the construction of fortifications, and the growing strategic importance of the Caucasus were described. In the issue of 8 December, the tone became more assertive, linking Georgia to questions of sovereignty, with emphasis placed on Ottoman legal claims and Russian actions. By 10 December, these various reports were consolidated into a broader political assessment, in which Georgia was presented as a decisive arena in matters of war and peace.

Taken together, these four issues illustrate how the image of Georgia in the German press emerged through interconnected yet fragmented reports, with its political significance shaped by the source and nature of the information presented.